

ალექსანდრე აბდალაძე

XII—XIII სს. საქართველოს ისტორიის ძრონოლოგიის შესჯავლისათვის

XII—XIII სს. საქართველოს ისტორიის ქრონოლოგიის მთელი რიგი საკითხები შემდგომ შესწავლას მოითხოვენ. სამისოდ საყურადღებო პირ-ველშეაროებს შორის დიდი მნიშვნელობა აქვს სომხური საისტორიო მწერ-ლობის მონაცემებს, რომელიც ქართულ ისტორიოგრაფიაში დღემდე მთელი სისრულით გამოყენებული არ ყოფილა.

სომხურ საისტორიო მწერლობაში, სხვა სახის მასალასთან ერთად, უხევად მოიპოვება ქრონოლოგიური ცნობებიც არა მარტო საკუთრივ სომხეთისა და კილიკიის სომხური სახელმწიფოს, არამედ მათი მეზობელი, კავკა-სიისა თუ წინა აზიის, მრავალი ხალხის ისტორიის საკითხების შესასწავლად. გარდა ამისა, იმის გამო, რომ ქართველი მეფეები XII საუკუნესა და XIII ს. პირველ მეოთხედში იბრძვიან უცხოელ დამპყრობთა სომხეთიდან განსაღევნად, რის შედეგადაც სომხური მიწა-წყლის გარკვეული ნაწილი საქართველოს სამეფოს შემადგენლობაში შემოდის და საკუთრივ საქართველოშიც მრავლად დამკვიდრდა უცხოელთა თარეშებით განაწიმები, მშობლიური ქვეყნიდან აყრილი სომხური მოსახლეობა, ბუნებრივია, მეტისმეტად იზრდება ისტორიული სომხეთის ფარგლებში ან მის გარეთ მცხოვრებ სომები ისტორიკოსთა თუ მოღვაწეთა ინტერესი საქართველოს მიმართ. ეს კი იწვევს სომხურ სისტორიო მწერლობაში კიდევ უფრო უხვი ცნობების გაჩენას, რომლებიც მეტად საყურადღებოა საქართველოს ისტორიის მთელი რიგი საკითხების, მათ შორის ქრონოლოგიის შესასწავლად.

წინამდებარე წერილში სომხური პირველწყაროების მოშევლიებით XII—XIII სს. საქართველოს ისტორიის ქრონოლოგიის რამდენიმე საკითხს განვიხილავთ.

1. როგორც ცნობილია, XII ს. თითქმის მთელ მანძილზე ქართველები ებრძვიან მეზობელ მამადანურ სახელმწიფოებს ანისისათვის. ეს ქალაქი არაერთხელ გადავიდა ხელში. დემეტრე I 1126 წ. იძულებული გახდა და დავით ალმაშენებლის მიერ საქართველოსათვის შემოერთებული ანისი კვლავ შედადიანებისათვის, კერძოდ, ფადლუნისათვის (1126—1131) გადაეცა ყმაღნაფიცობის პირობით. ფადლუნმა აღუთქვა ქართველთა მეფეს, რომ ანისის სომხურ მოსახლეობაზე შურს არ იძებდა მათი ქართული ორიენტაციის გამო და არ დაუშვებდა სომებთა სარწმუნოებრივ დევნას¹. მაგრამ გაძლიერებული ფადლუნი ეტყობა საქართველოს მეფის „ყმობას“ არ აპირებდა, მან მაღვე დაივიწყა თავისი დაპირებები და დაიწყო ანისის ქრისტიანი მოსახლეობის ყოველმხრივი შევიწროება².

¹ ა. შანინ ნებული, ჭიშნაკან თხილერის პარაგვათ აქამილევან, ჭ, ხელა, 1952, გვ. 96.

² სამათები ჭიშნაკან უნებელ ჩატარმისც ჩ კრისტიანულ აღმაყაფრა, ჭავარგვალა, 1893, გვ. 127; ჭატარმის აღმაყაფრა ჭავარგვა ჭავარგვალი, 1862, გვ. 120; ა. შანინ ნებული, დასახ. ნაშრომი, გვ. 96—97, 109. უ. ჭიშნაკან ჭ, მოსახლეობის ყოველმხრივი შევიწროება.

XII ს. ცნობილი სომები მშერლისა და მოღვაწის ნერსეს შნორბალის პოემის „გოლება ედესის დაცემის გმო“ ერთ აღგალზე დაყრდნობით შეიძლება კივარა აუდონთ, რომ ფადლუნის შემდევგაც ანისის ქრისტიანი მოსახლეობა შევიწროებულია მაჰმადიანთაგან, რომლებიც ქალაქის ბატონ-პატრონებია არიან³.

დემეტრე I მეფობის მთელ მანძილზე ურჩიობდნენ თუ არა ანისის შე-
ლადიანი მფლობელები, ამის შესახებ ჩვენ პირდაპირი ცნობები არა ვაქევს.
მაგრამ, ვფიქრობ, იმ მხრივ მეტად საინტერესო ცნობა შემოუნახავს კათა-
ლიკოს ნერსეს შხორპალის (1166—1173) „ცხოვრების“ აფტორს. მოვიტანთ
აღნიშვნული ძეგლით ჩვენთვის საინტერესო ადგილის თარგმანს:

.... იმ დროს ცრუ ჩვეულისაგან უშპრობილი მაპმარიანთა მოდგმა ფრიად გაძლევრდა... გამაგრებული, დიღებული ქალაქი ედესა, რომელსაც ფლობდა ლოთისმოყვარე მთავარი ჭოსლინი⁴. ურიცხვი სიმრავლით გარემოიცეს და ნაირგვარი ხერხებით და მანქანებით აიღეს და გადატცეს; ყველანი სმლით ამოწვილეს, ისე, რომ მისი მოვდნები სისხლით მორწყეს; იწყეს სხვა აღგიღების აღებაც და დღათა დღე ქრისტიანებს ავიზო როებზენ კევანის ნაპირამდე. აიღეს ქალაქი გერმანიკეც დიღი ანტიოქიის ქვეყნიდან. ცდილობდნენ ამოწყვითათ ქრისტიანთა ნათესავი. რადგან სომეხთა წმინდა მამამთავრები გამოდევნილი იყენებ მშობლიურ ქვეყნიდან, სადაც პირველი და უქველესი სყდრი იყო შირაკის ანისში, იმ ზანებში სამკითხო საღვარი უფალ გრიგორისა და მის ქვეყნის მანათობელ ძმას ნერსეს დაედოთ ანტიოქიის ქვეყნაში. სლუქის გავარში, წოვად სახელ-დებულ შცირე სიმაგრეში: ევედრებოლონენ ღმერსის გადაერჩინა ისინი უბორიტეს უცხოოსოლთაგან, კაცსახა მხეცთაგან... როცა იხილეს ჩვენი ნათესავის უძლურება. შეეშინდათ წოვა სიმაგრეში დარჩენა. რადგან ისეთი მტკიცე არ იყო, რომ შეძლებოდა მათი სსნა ქვეყნის წარმწყმედი მრისანებისაგან. ამის გამო ისტრაფოლნენ ატალებულ ზღვაში გზა მოექცნათ და გადას ული იყვნენ აღმო საკლ ეთ ში, რად გან იმ ედ ი ჰქონ და თ იქაური გაძლიერებული ქართველთა ქვეყნის მთავრი სა და ა ფ ხა ა შ თ ა მ ე ფ ი ს ა. მაგრამ [ისინი] შეიწყალა უფალმა, რომელიც მუდამ შემწევა მართალ თა და არ დაუშვებს მათ წარწყმედას. ლვთიური განვებით მოპმალა მათ მიუვალი სიმავრე ჰქონდება. სამოთხიდან მომდინარე მდინარე კვერატის ნაპირამ ახლოს, კეთილად სახენებელი ჭისლინის ლვთისმოყვარე შეუდღის მეშვეობით⁵.

ცნობილია, რომ სომეხთა კათალიკოსები გრიგორის III (1113—1166) და მისი სახელგანთქმული ძმა ნერსეს შნორჰალი, რომელიც გრიგორის ეხ-მარებოდა საკათალიკოსო საქმეების განვებაში ყოველთვის ცდი-ლობდნენ, რომ ღაბრუნებულიყვნენ დიდ სომხეთში და საკათალიკოსო კვლავ ანისში დაეფუძნებინათ, როდესაც ანისში საამისოდ ხელსაყრელი პოლი-ტიკური ვითარება იყო და იქ ქრისტიანებს არ ავიწროებდნენ. უკველია, გრი-

վրդի պատմություն, պարկ 4, Երևան, 1958, հա. 156; Ցեր. ըշ. Քաջածի Ցաղը, յարուցաց յարուցաց ամսագրություն, II, 1965, հա. 222; Յ. Հարությունյան անհատաց հիմնալու և սեփականացման հայտարարություն, XII Ե. Տայքարտաց պատմություն, բարձրագույն ազգային պատմություն, Երևան, 1970, հա. 106.

3. Պ. Հակոբյան, Ներսես Շնորհալի, Երևան, 1964, Յ3, 193, 197; Մ. Արեգյան,
Հայոց հնի գովակներւրան պատմություն, II, Երևան, Պ. Երևան, 1970, Յ3, 129—131.

⁴ ღმოლისხმება გვისის მფლობელობის ქასტრუნ II.

⁵ აკსონი II მიულებული ყოფილობის სომხური სახელმწიფოს მთავრის, ლეონის და

⁶ Գարեգին Ա. Կարսողիկոս, Յիշատակարտեր ձեռագրաց, Ա., Ա. Ե թ լ ի ա ս, 1951, 83

427—429

⁷ Գ. Հակոբյան, «Երևանի կամքություններ», Երևան, 1971, էջ. 93; Մ. Օքտան և Ալեքսանդր. Ա., էջ. 1362.

კორისისა და ნერსესის სურვილი, გადმოსულიყვნენ „აღმოსავლეთში“ და დახმარება მიეღოთ ქართველთა მეფისაგან, მიუთითებს იმაზე, რომ სომხური ეკლესიის თავგაცებს ამ დროსაც უფიქრით, სომებთა საყათაღიკონო საყდარი ქართველი მეფის დაამარებით დაებრუნებინათ ანისში, საღაც, როგორც ჩანს, მაშინ ქართველი მეფის „პატრონობას“ მაიც სცობდნენ და მისი გავლენით ქრისტიანულ მოსახლეობას არ ეწინავოდგნენ.

ნერსეს შნორჰალის „ცხოვრების“ მიხედვით გრიგორისსა და ნერსეს „აღმოსავლეთში გაღასვლა“ დაუპირებიათ მანამ, სანამ სომხური საკათალიკოსოს ცენტრი გადაინაცვლებდა წმინდან ჰერომელაში. ეს მდგრადი კი მოხდა 1147 თუ 1149 ან 1150 წელს.

აღნიშვნული ძეგლის მოტანილ ნაწყვეტში ამასთან ნათევამია, რომ სომხური ეკლესიის მესვეურთ ქართველი მეფისათვის დახმარების თხოვნა უფიქრით მას შემდეგ, რაც სელჩუკებმა მიწასთან გაასწორეს ქალაქი ედესა, რომელსაც ფლობდა მთავარი კოსლენი. ედესა 1144 წ. მოსულის ათაბეგმა იმადი დღ-დინ ზანგიმ (1127—1146) შართვა გრაფ კოსლენ II⁹. ქალაქისათვის პრძლები იმ დროსაც სისხლისმღვრელი იყო, მაგრამ გაცილებით დიდი საშინელებები დატყვდა თავს ქალაქსა და მის ქრისტიან მოსახლეობას ორი წლის შემდეგ, 1146 წ.¹⁰.

მაშასადამე, გრიგორის და ნერსეს ქართველ მეფესთან შეთანხმებით სომხური საკათალიკოსოს გაღმოტანა ანისში განუზრახავთ 1144 ან 1146 წლის შემდეგ 1150 წლამდე. ამ დროს ანისი თუ უშუალოდ არ იყო შემოერთებული საქართველოსთან, ანისის შედაღანი ამირა იძულებული მაინც ყოფილა, რომ ქართველი მეფის „პატრიონობა“ ეცნო¹¹.

2. ანისისათვის მეტად მწვავე ბრძოლები მიმღინარეობს XII ს. 60-იან წლებში. გორგი III იძულებულია დათმოს ანისი, მაგრამ მალე, 1174 წ. იგი ხელახლა უფლება ქალაქს¹² და მის გამგებლად ივანე ორბელს ნიშავრს. ოუმცა გორგი III მიერ ანისის მეორედ ლების მოტანილი თარიღი რამდენიმე წყაროშია დასახლებული, ადვილი შესაძლებელია. რომ იგი ზოსტი არ

⁸ М. Орманиян, Армянская церковь, М., 1913, 83, 55; Т. Орбелиан, Ազգականաց, էջ 1375; Գ. Հակոբյան Եկեղեց Շնորհածի, էջ 45.

⁹ К. Э. Босворт, Мусульманские династии, М., 1971, с. 169—170.

¹⁹ როდესაც 1146წ. იმად აღ-დინ ზანგი მუკლეს, ეფესის უმოქმედმა მფლობელმა გრაფმა უსლენე II გადაშევით ესარგებლა ამ მომენტით; მან მყისე დამყარა ურთიერთობა ეფესის სომხურ მოსახლეობასთან და დაეცვალა ქალაქს. პშინ იმად აღ-დინ ზანგის გაემა ნურ აღ-დინ მაპერდა (1146—1174), რომელსაც მამას მეტვიცერებიდან სირიის მიზნი ერგო, გარემოიცა ედესა, აილ იგი და შური იძია მოსახლეობაზე. ქალაქი სისხლში ცურავდა. მცხოვრებია უმრავლესობა გალიტეს ან მონებად გაყიდეს (Б. Кугле р. История ирестовых походов. 1895., გვ. 137.).

იყოს. საქმე ის არის, რომ 1172/3 წ. სომხური ანდერძ-მინაწერის ცნობით, ივანე ორბელისა და მის მეუღლე ოუსუდანს დიდი აღმშენებლობა უწარ-მოებით სხვადასხვა ადგილის, და კერძოდ, „მათი საკუთარი ქალაქის ანისის გვარში და თვით ანისშიც, აგრეთვე, დვინის გავარში, რაღანაც დიდი სპა-სალარის ივანეს... ძალაუფლება და შიში ყოველგან აღწევდა“¹³. ივანესა და ოუსუდანის მიერ ანისის „საკუთარ ქალაქიდ“ შიჩნევის შეიძლება სხვა სა-უფლებელიც ჰქონდეს, მაგრამ ცნობა იმის შესახებ, რომ ივანეს „ძალაუფლება და შიში აღწევდა“ ანისშიც, უნდა მიუთითებდეს, რომ ამ დროისათვის ანისი საქართველოს სამეფოს ფარგლებშია. თუ ანისი ანდერძ-მინაწერის ზაქერის დროისათვის შედაფინანთა ხელთა და ივანეს ძალაუფლება მხოლოდ „ანისის გვარში“ ვრცელდება, მაშინ მოსალოდნელი იყო, რომ ევტორი ამას აღნი-შნედა ისევე, როგორც ეს მან დვინის მიმართ გააკეთა.

ანისი საბოლოოდ არც ამგერად შეერთებია საქართველოს. ვარდანის ცნობით, 1199 წ. ქართველებს კვლავ მოუხდათ ანისის აღება¹⁴. ანისის დიდი მინარეთის კედლის 1198/9 წწ. სპარსული წარწერის მიხედვით ანისის ამირალ ჩანს შედაფინან ქეი-სულთანი¹⁵. ეგვე პირი უნდა იყოს 1193 წ. ანისის მა-ცხოვრის ეპლესის წარწერაში მოხსენიებული ანისის „ამირაპეტი სულდა-ნი“, „ძე ამირა მასუტისა, შეილიშვილი მანუჩერის“¹⁶; მაშასადამე, 1193 წლისა-თვის ანისის შედაფინანი ამირა „სულდანი“ ფლობს და აღნიშნული წარწერის მიხედვით ამირა ყოფილა, აღნათ ანისისა, „სულდანის“ მამაც — „მასუტი“.

XII ს. 70-იან წლებში ანისი საბოლოოდ რომ არ შემოერთებია საქარ-თველოს, აყაღ. პ. მანანდიანის დაკვირვებით, ეს მხითარ გოშის „აღბანეთის ქრინიკიდანაც“ ჩანს¹⁷.

თუ როდის დათმეს ქართველებმა 1174 წ., ან რამდენიმე წლით აღრე, შემოერთებული ანისი, მის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში განსხვა-ვებულ მოსაზრებებს ვხვდებით¹⁸.

ერთი სომხური მოკლე ქრონიკის¹⁹ ცნობით, „ოი (1176.5.II—1177.4.II) წელს დაუბრუნა აფხაზთა მეფემ ანისი თავის მფლობელს.

¹³ ვეზაოსაქართველოს მნათერავ, გვ. 407—410.

¹⁴ ჭავერის ჭავერისანი... გვ. 138.

¹⁵ А. Т. Гюзальян, Персидская надпись Кей-Султана Щеддада в Ани, сборник „Академику Н. Я. Маррү“, М.-Л., 1935, 2. Մաս ն դյան 6, գլուխ. Խամրոմի, ց. 134.

¹⁶ Գիշատ Հայ վիմագրության, I, ց. 47, წარწეրաში თაրიխ მოცემված և սოմხերი დიდი წեղութարձր կերպություն: այլակ ნ, რომ Տահանდ ადგილზე պէ օკიտեბա ուիր (օ. Ց. Կ ա ս տ ա ն ե ա ն ց, Վիմական տարեգիր, 1913, ց. 31—32) და მის შესձամես წარწე-რა 1173 წლისად იყო ცნობილი. ი. ორბეլის გამოცემის მიხედვით კը წარწეրա սომხური წეղութա-ձրկեց ուիր (642) წელს (551+642=1193) ეკუთხուի. შეცուძա წარմռდებოდა იქნած, რომ წარწეրաში თარიխը აღმտնშեნელ մეორე ას „խ“, აღნათ, კარგად ას ჩანდა და მის მაგირ „խ“ ამოցյանեց. „խ“-ს მეორე, მარგვენა კაუჭი რომ ჩამոցე ციլორთ, რჩება „խ“. წარწერა 1173 წლისა რომ არ შეძლება იყოს, ეს იძոდიანც ჩანდა (ჭავერის ჭავერისანი... ց. 129—130. V. Minorsky, գլուխ. Խամրոմի, ց. 96; K. Boesvort, գլուխ. Խամրոმի, ց. 132) და არა „სულდანი“.

¹⁷ Հ. Մանանդյան, գլուխ. Խամրոმի, ց. 117—118.

¹⁸ օ. Ա. Պաղոսյան, գլուխ. Խամրոմի, ց. 158; Օպერք истории СССР, IX—XIII вв., M., 1953, ց. 568; V. Minorsky, գլուխ. Խամրոմի, ց. 100; թ. լուրդ շ օ բ ա ն օ ժ ց, գլուխ. Խամրոմի, ց. 111—112.

¹⁹ ეს ქრონიკა, ց. პაკობიანის ვარაუდით, XII საუკუნეშიც უნდა იყოს შედენილი (Մամ-ճամակագրություններ, II, 1956, ց. 500).

ამავე წელს, ახალ კვირას, 11 აპრილს, ორ საათზე დაბნელდა მზე ისე [ძლიერ], რომ ვარსკვლავები გამოჩნდა²⁰.

ზუსტია თუ ორა აქ მოცემული თარიღი შედაბისნებისათვის ანისის დაბრუნებისა, გადაწრით ამისი თქმა ძნელია, თუმცა ცნობა ღაახლოებით მაინც რომ სწორი უნდა იყოს, ამაზე მიუთითებენ შემდეგი გარემოებანი: „ა. 1176 წ. ადრე ქართველებს ანისი მართლაც არ უნდა დაეთმოთ, რაღან, როგორც ჩანს, მათ იგი არ დაუთმიათ მაპმაღიანურ კოალიციასთან 1174—1175 წლების ომის დროს²¹.

ბ. ქორნიკის ცნობით, ერთსა და იმავე, სომხური შელთაღრიცხვის „ოფ“, წელს ქართველებს დაუთმიათ ანისი და დაბნელებულა მზე. ქორნიკისეული თარიღი მზის დაბნელებისა ზუსტია, მზე მართლაც დაბნელებულა 1176 წ. 11 აპრილს, ახალ კვირას²².

ვ. 1178 წ. ანდრეძ-მინაშვილში, რომელიც დავით ქაბაირეცის მიწერება, საკამაოდ დაწვრილებითაა ალწერილი დემნა უფლისწულის ამბოხების მსვლელობა; აღნიშნულია ამბოხებულთა დასაყრდენი პუნქტებიც, მაგრამ ანისი ნახენებიც არაა, რაც ძნელი წარმოსადგენი იქნებოდა, თუ ამ დროს ანისი საქართველოს სამეფოს ფარგლებშია და მისი გამგებელი ამბოხების სულისჩიმდგელი ივანე ორბელია²³. ეს გარემოებაც იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ უკვე დემნა უფლისწულისა და ორბელთა ამბოხებამდე ანისი ქართველებს დაუთმიათ²⁴.

²⁰ Մանր ժամանակագրություններ, II, 83, 502.

²¹ የሽጭ; V. Minorsky, ዓመታት, እንደተመለከተ, 100.

²² Վ. Հակոբյան, Գևարք Քոբայլիցու հիշատակարան, ՀԱՍԹ ԳԱ, «Ենթակագիր», 1952, № 8, թ. 115, է. Յաղալյան, Օրագույքի պատմություն, Երևան, 1970, թ. 494.

²³ օյ. Քաղաքնեցուող գահնանի Յընօմանչ Ըստկանց ծառարկություն, Երևան, 1973, ը. 172.

23 օյ. Քաղաքնեցուող գահնանի Յընօմանչ Ըստկանց ծառարկություն, Երևան, 1973 թ. Նույն ամսագլ, Մեծարտցելապ, Գանձենա Նույն Յընօմանչուուն Տարկելուն մեն (Հարտուցու յրին մը Տրոնիա, II, 1965, ը. 239). օյ. Աշրջացք, թ. Ծ ո ՛ տ ք ո ւ զ ա ն ո ւ ց յ, Գանձեն, Նույնություն, ը. 109). Իսկ յս մահութաց այց օյու, Ամենան ոյանց որդեզն անսուտան աղաժայցընը յըսպեշտուա դա ամսն յամու Մշովունքուա ան պոլուուսն օյու Նոնեցենցի Գանձելուց պահանջման անցուց-մէնանցիքնի. Պաշրամ յարդանի աղոնինշնուու Կընօմա Մէջլուցահու Աղոյի Սթորաց ան անուն յացելուն լուս. յահճանու միջեցուու 1174, ուս մոմուցեն Ֆըլս, «Յան ու այս սույնուա յահնուն սածկրոնինց գուան մտացարու ածունաւու դա մոցուա անունու; օյու օյու յալուայն Յընօմանչուուն, Սույալ Տարկելուն մեն; Տարկելու Մշովունքու մըցյաց և մըցյացմայ յացուալա օյու ամունամու (ըստլուսեթեա անուն ամունա Տաշեան, հմայլուց ըստրցու III դա- ստրցցա մուն մոյր անուն մըցուաց աղցնուուս — օ. օ.). Առօս [ամունա սանցլութ] ածունաւու դա 17000 դժուացնու.... ել ի բանտեն կարուց մեծ իշխանն Ապիքատն ե եկն ի յնիք. սա էր եղբայր Ապիսիոպոսի Քտղաքին տեսան Բարսի, որ աղաչեաց զրաքալորե վրաց. և են փոխան նմա ամիբայ և տու զիս և եօբն և տասն հազար դահեկան» (Հաւաքումն սպատ- մուրեկան.... ը. 130).

ასეთ ვითარებაში ვითორგი III, ბუნებრივია, შეეცდებოდა გარეშე მტრებთან დაზავებას, ანისის დამზადას, ანისისა, რომლის გმონ კილობა, როგორც ჩანს, 1174—1175 წწ. ომის შემდეგც გრძელდებოდა. გარეშე მტრებთან დაზავების გარდა ვითორგი III ამ ნაბიჭით იყანე ორბელს ხელიან აცლილა უძლიერეს დასაყრდენს.

3. დემნა უფლისწულისა და ორბელთა ამბოხების დაწყების თარიღად ქართულ ისტორიოგრაფიაში მიღებულია 1177 წ.²⁵ ზოგიერთი მკვლევრის მიხედვით, დავით ქობაირეცისად წოდებული ანდერძ-მინაწერის მონაცემების გათვალისწინებით უნდა შესწორდეს ამბოხების დაწყების თარიღი; მათი აზრით, ამბოხება დაწყებულა 1178 წ. აპრილში თუ ამის შემდეგ²⁶.

ანდერძ-მინაწერის მიხედვით, თხზულების „დაწერამდე“ ერთი წლით ადრე, აპრილში, ახალკვირას, დაბნელებულა მზე და ამის შემდეგ დაწყებულა ამბოხება²⁷.

თხზულების დაწერის დრო ანდერძ-მინაწერში მოცემულია წელთაღრიცხვის თხო სისტემით²⁸. ამათვან სომხური წელთაღრიცხვის 627 წ. შეესბამება 1178.5.II—1179.4.II-ს; „ახალი ხანის“ — სომხური მცირე წელთაღრიცხვის 94 წ. — 1177.11.VIII—1178.10.VIII-ს; „რომაული ხანის“ 498წ. — 1277 წ.²⁹ ანდერძ-მინაწერის მიხედვით თხზულება დაიწერა ქრისტეს დაბადებიდან 1179 წ. ერთი შეხედვით, „ქრისტესით“ მოცემული თარიღი სხვა თარიღებს არ ეთანხმება, მაგრამ აქ უნდა გავითვალისწინოთ, რომ სომხურ სინამდვილეში არსებობდა ე. წ. „სომხური ქრისტიანული ერა“, რომელიც ქრისტეს დაბადებას დებდა არა ჩვენი ერის პირველ წელს, არამედ ორი წლით ამაზე ადრე³⁰.

გავითვალისწინებთ რა ყოველივე ამას, შეიძლება ვითიქროთ, რომ ხელნაწერის გადამწერი, ანდერძ-მინაწერის იგტორი დავითი საქმიანობდა 1177—78 წლებში³¹. ეს რომ ასე უნდა ყოფილიყო, იმაზე მეტყველებს ისიც, რომ ანდერძ-მინაწერში მოხსენიებული მზის დაბნელება მომხდარა 1176 წ. 11 აპრილს³², რომელიც ნამდვილად ახალკვირას ხვდებოდა.

ანდერძ-მინაწერის ცნობაზე დაყრდნობით ძნელია გადაჭრით თქმა იმისა, ამბოხება დაიწყო მზის დაბნელების უმაღლ თუ გარკვეული ხნის შემდეგ. შესაძლოა, მზის დაბნელებასა და დემნა უფლისწულის ამბოხების დასაწყისს შორის გაევლო გარკვეულ ხანს, მაგრამ ეს ორი ფაქტი ერთმანეთისათვის დაეკავშირებინა დათისმოსავ ავტორს, რადგან მზის დაბნელება ავის მომასწავებელ ნიშნად ითვლებოდა. შესაძლოა ისიც, რომ დავითი ამბოხების დასაწყისად გულისხმობდეს 1176 და არა 1177 წელს. ერთი რამ ცხადია: ანდერძ-მინაწერის მონაცემების გულდასმით შესწავლა გამორიცხავს აზრს იმის შე-

25 ნ. ბერ ქენიშვილი, საქართველოს ისტორია, I, 1958, გვ. 192.

26 ლ. მელიქ სეთ-ბეგი, სტეფანე სინენის „ორბელთა ისტორიის“ ქართული ვერსია, საისტორიო მომენტი, 6, 1952, გვ. 84; გ. მაის ურა ქე, დასახ. ნაშრომი, გვ. 261; შდრ. რ. მეტელი, შინაგანი ბრძოლა გულისხმობის შესაძლოა ისიც, რომ დავითი ამბოხების დასაწყისად გულისხმობდეს 1176 და არა 1177 წელს. ერთი რამ ცხადია: ანდერძ-მინაწერის მონაცემების გულდასმით შესწავლა გამორიცხავს აზრს იმის შე-

27 გ. მაის ურა ქე, დასახ. ნაშრომი, გვ. 262.

28 იქვე.

29 აქ, აშკარაა, გადამწერის ასეულის აღმნიშვნელი რიცხვი შეშლია — „სამას თხმოცდათერამეტის“ (1177) ნაცელდ დაუსახელებია „ოთხის თხმოცდათერამეტი“ — Ա. Գ. Աբրაհაմ ქ. 115, პამარა ქებ ხელი ერთ კრისტიანულ საქართველოში, თბ., 1973, გვ. 124—125.

30 გ. მაის ურა ქე, დასახ. ნაშრომი, გვ. 262.

31 შდრ. Վ. Հակոբյան, 1965, გვ. 6.

32 Վ. Հակոբյան, 1965, გვ. 6.

33 Վ. Հակոբյան, 1965, გვ. 6.

სახებ, რომ ამ ქეგლის მიხედვით დემნა უფლისშულისა და ორბელთა ამბოხება თითქოს 1178 წ. აპრილში ან შემდეგ დაწყებულა.

4. როგორც ცნობილია, გიორგი III თავის სიცოცხლეშივე გამეფუა თამარი. „ისტორიანი და ამანი შარავანდედთანის“ მონაცემებზე დაყრდნობით უკად. ივ. გავახიშვილი ფიქრობდა, რომ გიორგი III თამარი სამეფო ტახტზე იყვანი 1178—1179 წლებში³³. შემდვომში თამარის გამეფების თარიღიდან დამკვიდრდა 1178 წ.³⁴ რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, გიორგი III მიერ თამარის გამეფების თარიღი არც ერთ წყაროში მოცემული არ არის. ჩვენი ყურადღება მიიღუა XIII ს. ერთი უსახელო ქრონიკის შემდეგაც ცნობამ: «ისტმებულ ქახუნდან ჭავარები და მათ მარებელი არ არის. ამას შემდეგაც ცნობამ: „ოთ“ (1180.4.II—1181.3.II) წელს გარდაცვალა გიორგი და გამეფუა თამარი».

აღნიშნულ ქრონიკაში, რომლის ავტორის, თუ იგი ერთი პიროვნებაა, XIII ს. I ნახევარში უნდა ეცხოვა³⁵, XII—XIII საუკუნის ამბები ხშირად ზუსტადაა დათარიღებული, ხოლო ცოობილება თუ ვვაქვს ზოგჯერ, იგი უმნიშვნელოა. მიტომაც გვეირვებას იწვევს გიორგი III გარდაცვალების თარიღიდან 1180 წ. დასახელება. აღვილი შესაძლებელია, ქრონიკის ავტორს ხელთ ჰქონოდა თამარის პირველი გამეფების თარიღი და მან იგივე წელი შეცდომით გიორგი III გარდაცვალების წლადაც ჩათვალი.

5. თამარის დავით სოსლანზე გათხოვება ქართულ ისტორიოგრაფიაში დათარიღებულია 1189 წლით³⁶. ამ თარიღის გათვალისწინებითა და ზოგიერთი არაპირდაპირი თუ უთარიღო ცნობის მოშველიებით ამ ხანების მთელი რიგი მნიშვნელოვანი ამბების თარიღებიც იყო გამოთვლილი³⁷. მხითარ ვოშის 1188 წ. ანდერძ-მინაწერის მიხედვით, რომელიც მის თანულებას, იერემიას განმარტებას ერთვის, თამარის დავით სოსლანზე გათხოვების თარიღი რამდენადმე უკან უნდა გადმოიწიოს. მოვიტან ანდერძ-მინაწერიდან³⁸ ჩვენთვის საინტერესო აღვილების თარგმანს:

„დაღება ყოვლად წმინდა სამებას უუწინისამდე, ამენ... ეს საქმე დავიწყეთ სომხური წელთაღრიცხვის 636 წ. (1187. 3. II—1188. 2. II) და დავასრულეთ ერთი წლის შემდეგ... ამავე წელი, ჩვენი ზომის მცირე [ნაწილი რომ დავწერეთ], ქრისტიანთა წომლვაავებული ცოდვების გამო წმ. ქალაქი იერუსალემი აიღო სალადინ მძლავრმა; დამოუკიდებული ცოდვების წმ. ნიში მეფესა და ურიცხვ ღამებართან ერთად; ხოლო ქართველთა სამეფო ბობოქრობა, რადგან თამარმა, გიორგი მეფის ასულმა, განიშორა პირველი ქმარი, რუსთა მეფის ძე, და შეიძთო სხვა ქმარი, აღანთა სამეფოდან, თავისა ნათესავი დედის მხრიდან, სახელად სოსლანი, რომელიც გამეფებისას დავითადაც იწოდა. ეს [ამნები] მოხდა სომებთა კათალიკოსის უფალ გრიგორის მამამთავრობისას, სახელგანთქმულ ჰალგატის მონასტერში უფალ ბარსელის ეპისკოპოსობის დროს. დაიწერა [ეს განმარტება] გეტიკის უდაბნოში, წმ. გოლგოთას და გრიგორ განმანათლებლის შეწევნით”...

³³ ივ. გავახიშვილი, ქართველი ერთი ისტორია, II, 1965, გვ. 244.

³⁴ ნ. ბერძენიშვილი და სხვანი, საქართველოს ისტორია, 1958, გვ. 193—195.

³⁵ ქახე მამასასა კატიონების მიერ, I, 1951, გვ. 25.

³⁶ იქვე, გვ. 19; ა. აბდალაძე, შემქორის ბრძოლის თარიღისათვის, „მაცნე“, ისტორია, 1973, №1, გვ. 116.

³⁷ იხ. მავ. ნ. ბერძენიშვილი და სხვანი, საქართველოს ისტორია, I, 1958, გვ. 199.

³⁸ ივ. გავახიშვილი, დასახ. ნ. შრომი, გვ. 257—260.

³⁹ მთავალ ჩაქერების ბენაფრա გმამანი ქახე მამასასა კაფებანი, ქაფმებ შ. ჭეშჩევან, ქახე მამასასა კაფებანი, ქაფმებ შ. ჭეშჩევან, ქახე მამასასა კაფებანი, 1964, გვ. 249; ა. მარტივ, მამასასა კაფებანი, ქახე მამასასა კაფებანი, 1926, გვ. 185—186; პ. მ. მურადია, ქახე მამასასა კაფებანი, ქახე მამასასა კაფებანი, 1969, № 9, გვ. 130—131.

მხითარ გოშს თავისი შრომის მცირე ნაწილი ჰქონია შესრულებული, როცა სალადინს დაუპყრია იერუსალემი (1187.2.X). მაშასადამე მხითარი აღნიშნული ნაშრომის წერას შეუდგა 1187 წ. ოქტომბრამდე⁴⁰, სახელდობრ როდის, ამისი თქმა ძნელია. რაკი მხითარს ნაშრომი ერთ წელიწადში დაუსრულებია, გამოდის, რომ ანდერძ-მინაწერი 1188 წელსაა დაწერილი. მხითარის სიტყვით, თამარი პირველ ქმარს გაჰყრია და მეორე შეურთავს სომხერი წელთაღრიცხვის 636 წ. (1187.3.II—1188.2.II). მხითარ გოში პირველად იერუსალემის დაცემას რომ აღნიშნავს, ხოლო შემდეგ ქართველთა სამეფოს ბობოქრობას, ეს, აღბათ, არ ნიშნავს იმას, რომ ხსენებული ფაქტები სინამდვილეშიც მაინცდანაინც ასეთივე თანმიმდევრობით მოხდა; თამარი შეიძლება 1187 წ. ოქტომბრამდეც გაჰყროდა პირველ ქმარს, მაგრამ ღვთისმოსავი ავტორის თვალში იერუსალემის აღება მაპმაღინთა მიერ, აღბათ, უფრო დიდი მნიშვნელობის მოვლენა იყო და ამიტომ დაასახელა იყო მან პირველად. საზოგადოდ, მხითარ გოშის ანდერძ-მინაწერზე დაყრდნობით შეიძლება ღავასკვნათ, რომ თამარი გოორგის გაჰყრია 1187 წ. და ამავე წელს ან 1188 წ. დამდეგს მას შეურთავს საკით სოსლანი⁴¹.

6. ლაშა გიორგის ცხოვრებისა და მოღვაწეობის მრავალმხრივ საინტერესო ხანის ქრონილოგიიდან ბევრი რამ უცნობია. არ ვიცით, კერძოდ, როდის გაიცნო და დაუახლოვდა ლაშა ველისციხელ ქალს, როდის შეეძინა მასთან შვილი. მასთან დაკავშირებით ინტერესომოკლებული არ უნდა იყოს XIII ს. ერთ-თი სომხური ქრონიკის⁴² ცნობა, რომლის მიხედვით 1216 წ. „დაიბადა დავით რეზე, ლაშას გავის“. ⁴³

რამდენადაც ჩეკნოვის ცნობილია, არც აღრეულსა და არც XII—XIII ს. სომხურ სისტორიო მშერლობაში რომელიმე ქართველი უფლისწულის დაბადების თარიღი მოცემული არ არის. მით უფრო მოულოდნელი ჩანს მეფის უკანონო შეილის დაბადების დროის აღნიშვნა. ჩანს, ლაშას დაახლოებამ გელისციხელ ქალთან და მასთან ბავშვის გაჩენამ განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვა თანამედროვებში.

ჩენ მხოლოდ რამდენიმე ცნობა გამოვიყენეთ სომხური საისტორიო მწერლობისა. საზოგადოდ, სომხური პირველწყაროების მოშევლით XII—XIII სს. საქართველოს ისტორიის ქრინილოგიის მრავალი შეუსწავლელი ან ნიკოლა შესწავლით საკითხის განხილვა შეიძლება.

⁴⁰П. М. Мурадян, ամսակ. նախաթուր, գլ. 130.

41. П. М. Мурадян, დასახ. ნაშრომი, ვგ. 134, შესაძლოა, თამარის ისტორიულობასთა მონაცემები მხილარ კაშის ანდერქ-მინიჭერის ანალიზით მიღებულ დასკვნას რამდენადმე ეწინა-აღმდეგამოსდეს, მაგრამ ცხარია, უპირატესობა ანდერქ-მინიჭერს უნდა მიენიჭოს.

⁴² ქრონიკა სამეურ ანგცის ეტრულ ქრონიკის გავრძელებადა და მოდის 1290 წლიდა. ქრონიკის ავტორს სტეფანის ეპისკოპოსს ჩვეულებრივ აღიერებდნენ სტეფანის ორბელიანთან, მართალია, ლ. ხაჩიგანში და გ. ჰაკიბიანში სტეფანის ორბელიანი არ სცნეს ქრონიკის ავტორად, მაგრამ ცდა ორბელიანის ავტორობის დასმენტკულცბლად ამის შემდეგაც იკო წარმოდგენილი — ი. ს. ჭ. უ. ჩ. ა. გ. დ. ს. ს. რ. ე. ხ. XIII դაրი მს ძამანასია დამდინარეობა სხვაზოგან მასახი, «მათმა-რა-ნიასხვალების სახელის», 1971, № 2, გვ. 210—216.

⁴³ Մանր ժամանակագրություններ, I, Երևան, 1951, չ3. 38.